

სოლ ბასი: ტიტრები, როგორც მხატვრული ფორმა

ავტორი: მარიამ თვალავაძე

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები

(კინომცოდნეობა)

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე კინომცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად



სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეო ხატიაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

„ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მარიამ თვალავაძე

19.06.2025

აბსტრაქტი

აღნიშნული კვლევა შეისწავლის კინოტიტრების ტრანსფორმაციას – ტექნიკური-იურიდიული დანიშნულებიდან დამოუკიდებელ მხატვრულ ფორმამდე. მთავარი ყურადღება ეთმობა ამერიკელი გრაფიკული დიზაინერისა და რეჟისორის, სოლ ბასის რევოლუციური წვლილის წარმოჩენას. ისტორიულად, როგორც წესი, კინოტიტრები მხოლოდ საინფორმაციო ფუნქციას ასრულებდა. თუმცა, მეოცე საუკუნის შუა პერიოდიდან სოლ ბასმა რადიკალურად შეცვალა ეს ტრადიცია – მან კინოტიტრები გარდაქმნა თვითკმარ „მინი-ფილმად“, რომელიც სრულად ეწერება ფილმის ვიზუალურ და ემოციურ სტრუქტურაში. მიუხედავად იმისა, რომ ბასის გამოჩენის შემდეგ, 1950-იანი წლებიდან, კინოტიტრების დიზაინის მიმართ საერთაშორისო ინტერესი გაიზარდა, ეს სფერო კვლავაც ნაკლებადაა შესწავლილი, განსაკუთრებით ქართულ აკადემიურ სივრცეში, სადაც თემის კრიტიკული გააზრება ფაქტობრივად არ არსებობს.

ნაშრომი სწორედ ამ ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად და აანალიზებს, როგორ ჩამოაყალიბა სოლ ბასმა გამორჩეული ვიზუალური ენა, რომელმაც კინოტიტრი აქცია მნიშვნელოვან სიუჟეტურ და სემიოტიკურ ელემენტად; ფოკუსირდება ბასის 1950-60-იანი წლების ძირითად ნამუშევრებზე და იკვლევს მათ სტილისტურ თავისებურებებს. ნაშრომი იყენებს რამდენიმე ურთიერთშემავსებელ მეთოდს: ისტორიულ-კონტექსტუალური ანალიზი აჩვენებს იმ კულტურულ და ინდუსტრიულ ფონს, რომელშიც იქმნებოდა ბასის ნამუშევრები; ვიზუალური ანალიზი იკვლევს ავტორის სტილსა და მიდგომებს; ხოლო სემიოტიკური ანალიზი, რომელიც ეყრდნობა ჩარლზ სანდერს პირსის ტრიადულ მოდელს, ააშკარავებს, როგორ ფუნქციონირებენ ტიტრები, როგორც ნიშნები და როგორ წარმართავენ მაყურებლის აღქმასა და ინტერპრეტაციას.

სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომის სინთეზითა და როგორც პირველადი ვიზუალური წყაროების, ისე მეორეული აკადემიური წყაროების გაანალიზებით, წინამდებარე ნაშრომი ცდილობს კინოტიტრების, როგორც დამოუკიდებელი მხატვრული ფორმის, სიღრმისეულად გააზრებას და მიზნად ისახავს მომავალი კვლევებისთვის საფუძვლის შექმნას.

Abstract

This thesis explores the transformation of film title sequences from a purely technical and legal function to an autonomous artistic form, with a particular focus on the groundbreaking contributions of American graphic designer and director Saul Bass. Historically, film titles served as informational devices, merely listing the film's name and its creators. However, beginning in the mid-twentieth century, Saul Bass revolutionized this convention by reimagining the title sequence as a self-contained, expressive "mini-film" that seamlessly integrates into a film's visual and emotional narrative. Despite growing international interest in title design since Bass's emergence in the 1950s, the field remains under-theorized, especially in Georgian academic discourse, where critical engagement with the topic is virtually absent.

This study aims to fill that gap by analyzing how Saul Bass developed a distinct visual language that elevated the title sequence into a narrative and semiotic tool. Focusing on Bass's major works from the 1950s and 1960s, the research examines their stylistic characteristics, narrative function, and cultural significance. Through a combination of historical-contextual analysis, formal visual analysis, and semiotic interpretation based on Charles Sanders Peirce's triadic model, the thesis investigates how Bass's title sequences operate as multilayered signs that communicate meaning and shape viewer perception.

By synthesizing diverse methodologies and drawing on both primary visual materials and secondary academic sources, this study contributes to a deeper understanding of title design as a legitimate cinematic form and aims to establish a foundation for future research.